ხელშეკრულება N 43

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 9 დეკემბერი 2019 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის N85 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის გელა ჭანტურიას სახით და მეორეს მხრივ, ი/მ გიორგი კანდელაკი ვესტა (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ვაუჩერული დაფინანსებით სხვადასხვა სახის საკანცელარიო ნივთების (CPV: 22800000; 30100000) შესყიდვა, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია N1 დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 240,64 (ორასორმოცი ლარი და 64 თეთრი) ლარს. მათ შორის CPV: 22800000 – 160,25 (ასსამოცი ლარი და 25 თეთრი) ლარს; CPV: 30100000 - 80.39 (ოთხმოცი ლარი და 39 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. თბილისი ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N131).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

6.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0.02 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

6.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში დაგვიანებით მიწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულების 0.02 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

6.4. ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის/მომსახურების ღირებულების 10.0 პროცენტის ოდენობით.

6.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის 20.0 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ორმხრივად კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და/ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ - ქალაქ თბილისის N85 საჯარო სკოლა
ს/კ – 206031676
მის: ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N131.
ტელ: 577 33 15 15

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ა GE46LB0121112010509000

დირექტორი: გელა ჭანტურია

მიმწოდებელი:

ი/მ გიორგი კანდელაკი ვესტა
ს/კ **01009005243**
მის.: ქ. თბილისი აღმაშენებლის 55/1
ტელ.:
საბანკო რეკვიზიტები:
სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი **BAGAGE22**
ა/ა **GE75BG0000000888000801**

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

N	დასახელება	CPV კოდი	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო თანხა
1	ბაინდერი A4 განიერი 0554	22851000	ცალი	20.00	2.500	50.000
2	ბაინდერი A4 ვიწრო 0553	22851000	ცალი	20.00	2.500	50.000
3	ფაილი A4 0.30 (100ц) HL-253-30	22852100	შეკვრა	10.00	2.400	24.000
4	სწრაფჩამკერი პლასტიკური 2058	30197210	ცალი	30.00	0.200	6.000
5	ჩასანიშნი ქაღალდი ფერადი 90*90*870	22832000	შეკვრა	5.00	3.100	15.500
6	ჩასანიშნი ქაღალდი ფერადი 80*80*300	22832000	შეკვრა	5.00	1.150	5.750
7	სტეპლერი უნივერსალური No:10 ; 24/6; 26/6 ტყვიებზე 0341 , Deli	30197320	ცალი	3.00	6.000	18.000
8	სტეპლერის ტყვია დიდი N24/6 0012	30124400	შეკვრა	5.00	0.390	1.950
9	დანა საკანცელარიო დიდი 8286/332861/XF80	30192700	ცალი	3.00	0.350	1.050
10	სახაზავი ლითონის 50სმ 8464	30194300	ცალი	3.00	3.630	10.890
11	მარკერი პერმანენტული EU10040 Red, DELI	30192125	ცალი	1.00	0.440	0.440
12	მარკერი პერმანენტული EU10020 Black, DELI	30192125	ცალი	1.00	0.400	0.400
13	მარკერი პერმანენტული EU10030 Blue, DELI	30192125	ცალი	1.00	0.440	0.440
14	წებო მშრალი 21გრ 7102	30192700	ცალი	5.00	0.550	2.750

15	სკოჩი პატარა 18მმ*27მ 8ც შეკრაში 30065, DELI	30100000	შეკვრა	1.00	2.700	2.700
16	პლასტელინი Гамма "Классический", 12ფ, 240გრ	30192700	ცალი	3.00	2.600	7.800
17	კორექტორი კალამი 3116	30192160	ცალი	5.00	0.500	2.500
18	კალამი ბურთულიანი LT -972 წითელი	30192121	ცალი	5.00	0.250	1.250
19	კალამი ბურთულიანი LT -972 შავი	30192121	ცალი	5.00	0.250	1.250
20	კალამი ბურთულიანი LT -972 ლურჯი	30192121	ცალი	5.00	0.250	1.250
21	სასკოლო რვეული MOLENBIC 48ფ. ცალხაზა	22830000	ცალი	15.00	0.500	7.500
22	სასკოლო რვეული MOLENBIC 48ფ. უჯრა	22830000	ცალი	15.00	0.500	7.500
23	კალენდარი კედლის 2020	30199792	ცალი	3.00	3.500	10.500
24	ფერადი ფანქრები 18ფ C00310, DELI	30192130	შეკვრა	3.00	3.740	11.220
			ჯამი			240.64

სსიპ - ქალაქ თბილისის N85
საჯარო სკოლის დირექტორი: / გელა ჭანტურია /

ი/მ გიორგი კანდელაკი ვესტა: